

ენობრივი ნომინაცია

გარემომცველი სამყაროს ყოველი კონკრეტული საგანი თუ მოვლენა წარმოადგენს სხვადასხვა თვისებებისა და მრავალმხრივი კავშირების მთელ სისტემას, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში წარმოშობს საკმაოდ რთულ წარმოდგენას ამ საგანზე, საგნის ცოდნას. საგნის სახელდება სავესებით წარმოუდგენელია მოცემული საგნის წინასწარი, თუნდაც სრულიად ელემენტარული ცოდნის გარეშე.

მეტყველების დროს არასოდეს არ ხდება მთელი იმ ცოდნის გახსნა, რომელიც მოსაუბრეებს გააჩნიათ ამა თუ იმ საგანზე. ამ დროს იხსნება ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო აინტერესებს მოსაუბრეს ან საუბრის რომელიმე სხვა მონაწილეს. არც ბგერათა კომპლექსის წარმოთქმა ისახავს მიზნად გაადვილოს მოსაუბრეში ყველაფერი, რაც მან იცის მოცემულ საგანზე. საუბრის დამყარებისათვის სავესებით საკმარისია თუ სიტყვა ”გემი“-ს წარმოთქმაზე მოსაუბრეს გაუჩნდება წარმოდგენა გემის საერთო კონტურებზე და ეს კონტურები ასოცირებული იქნება ზღვასთან.

სიტყვათა ეს თავისებურებები დიდ შესაძლებლობებს ქმნიან ბგერათა კომპლექსების მხოლოდ ერთი ნიშნის საფუძველზე შექმნისათვის.

ნომინაციის ყველაზე გავრცელებული ტიპებია: **სახელდება ნიშნის შერჩევის გზით და ხმაბაძვის პრინციპით.**

სახელდება ნიშნის შერჩევის გზით

გაეცნობა რა გარემომცველი სამყაროს ახალ საგანს ან მოვლენას, ადამიანი საგნის უამრავი ნიშნიდან ირჩევს ერთს, რომელიც მას უფრო დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია და რომელსაც უკვე აქვს სახელი დარქმეული. შემდეგ ამ ნიშნის საფუძველზე ხდება მოცემული საგნის სახელდება. ეტიმოლოგების მიერ დაგროვილი მდიდარი მასალა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საგნების, მოვლენების, სხვადასხვა პროცესებისა და ა.შ. სახელდება ენაში სწორედ ამ გზით ხდება.

მაგ: ინგლისურ სიტყვას **king**, “ხალხი”, “მოდგმა” უდევს საფუძვლად. შეადარეთ ძვ. ინგლისური **cyning**, ძვ. ზ. გერმ. **kuning**; გერმ. **König** – „მეფე“ და ძვ.-ინგლ. **cyn(n)**; ინგლ. **kin**; ძვ.-ზემ.გერმ. **kunni**; ძვ.-ისლანდ. **kyn**; გოთ. **kuni** – „ტომი“, „მოდგმა“; აგრეთვე ძვ.-ინგლ. **þeoden**; ძვ.-ისლანდ. **þjóðann**; ძვ.-საქს. **thiodan**; გოთ. **þiudans** „მეფე“ და ძვ.-ინგლ. **þeod**; ძვ.-ისლანდ. **þjóð**; გოთ. **þiuda** და ა.შ. – „ხალხი“, „ერი“.

ინგლისურ სიტყვას **woman**, საფუძვლად უდევს ორი ძირი “ცოლი” და “კაცი”. შეადარეთ ძვ. ინგლისური **wifmann**. ინგლისურ სიტყვას **lord**, საფუძვლად უდევს ორი ძირი “პური” და “მცველი”. შეადარეთ ძვ. ინგლისური **hlaford** (**hlaf + weard**). ინგლისურ სიტყვას **lady**, საფუძვლად უდევს ორი ძირი “პური” და “ზელა”. შეადარეთ ძვ. ინგლისური **hlæfdize** (**hlaf + dize**).

სიტყვათა ეტიმოლოგიური კავშირების შესწავლა ასევე ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ საგნებისა და მოვლენების, აგრეთვე სხვადასხვა პროცესების სახელდება სხვადასხვა ენაში განსხვავებული ნიშნების საფუძველზე ხდება.

ინგლისური სიტყვა **hare** – “კურდღელი” დაკავშირებულია ფერთან. ძვ. ინგლისურში **hasu** “ნაცრისფერს” აღნიშნავს. ძვ. ზ. გერმანულში **hasan**, ძვ. სკანდინავიურში **höss** ასევე აღნიშნავდა “ნაცრისფერს”. რუსულ ენაში “კურდღელი” **заяц** ნაწარმოებია ფუძიდან **ǵhei | ǵhoi** – “ხტუნვა”; უნგრულ დიალექტებში დასტურდება სიტყვა **füles** “კურდღელი”, რომელიც ნაწარმოებია **fül**-დან “ყური”.

ინგლისური სიტყვა **bear** – “დათვი” დაკავშირებულია ინდოევროპულ ძირთან * **bero** ყავისფერი. შეადარეთ ძვ. ინგლისური **brun** “ყავისფერი”; ლიტვური **beras** “ყავისფერი”. რუსულ სიტყვას **медведь** კი სულ სხვა ხატოვანება უდევს საფუძვლად “თაფლის ჭამა”.

ძვ. ბერძნულში სიტყვა “ბაზარი” ნაწარმოები იყო ზმნიდან “შეგროვება”, ე.ი. “ადგილი, სადაც ხალხი იკრიბება”. ინგლისურ ენაში **market** – ბაზარი, წარმოდგება ლათინური **mercatus**-დან, რაც ნიშნავს “ვაჭრობა, ბაზარი” და რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ლათინურ ზმნასთან **mercari** “ყიდვა”. რუსულ ენაში **рынок** “ბაზარი” დაკავშირებულია გერმანულ **Ring**-თან, “წრე”.

რიგ შემთხვევაში ენაში შეიმჩნევა კონვერგენცია, ე.ი. ერთი და იმავე საგნის სახელდებისათვის ეს ენები ერთნაირ ნიშანს ირჩევენ.

მაგ: ჩეხური **labut** და რუსული **лебедь** “გელი” დაკავშირებულია ინდო-ევროპულ ძირთან **elbh | albh** “თეთრი”. იგივე შეიმჩნევა თათრულში, **ак кош** “გელი” სიტყვასიტყვით ნიშნავს “თეთრ ჩიტს”.

რის საფუძველზე ხდება ნიშნის შერჩევა სახელდების დროს?

გავრცელებულია აზრი, რომლის მიხედვითაც სიტყვის ბგერითი კომპლექსის შექმნის დროს ხდება საგნის, მოვლენისა თუ პროცესის (რომელიც სახელდების ობიექტს წარმოადგენს) ყველაზე არსებითი ნიშნის შერჩევა. ყველაზე არსებითად საგნის ის ნიშანი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მაღალი დისტინქციური უნარით ხასიათდება და განასხვავებს ერთ საგანს მეორისგან.

მაგ: რუსული სიტყვა **река** - “მდინარე” დაკავშირებულია ბერძნულ ზმნასთან “დინება”. ეს ნიშანი საკმაოდ დისტინქციურია, რადგან განასხვავებს მდინარეს ტბისაგან, ჭაობისაგან და ა.შ. მაგრამ იგივე მდინარის გოთური სახელწოდება დაკავშირებულია ლათინურ **aqua**-სთან, “წყალი”. ეს ნიშანი ნაკლებ დისტინქციურია, მას მდინარის არსებით ნიშნად ვერ ჩავთვლით.

ასევე გერმანული სიტყვა **Hahn** – “მამალი”, დაკავშირებულია ლათინურ ზმნასთან **cano** – “მღერა, გალობა”, რომელიც სუსტი გამომსახველობის ნიშანია. გერმანული **Fliege** – “ბუზი” დაკავშირებულია ზმნასთან **fliegen** “ფრენა”. ვერც ეს ნიშანი ჩაითვლება არსებით ნიშნად.

ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება დაიძებნოს ენაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნიშნის შერჩევა ხდება არა წინასწარ მოფიქრებული გეგმის შესაბამისად, არამედ სტიქიურად. ამის გამო მკვეთრი დისტინქციური ნიშნების გვერდით გვხვდება ნაკლებ გამომსახველი ნიშნები, რომელთა განმასხვავებელი უნარი ძალზე სუსტია.

როგორც ითქვა, საგნის სახელდება მისი რომელიმე ერთი ნიშნის საფუძველზე ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალი სიტყვის შინაარსი ამ ნიშნის შინაარსს უტოლდება. ახალი სიტყვის შინაარსი გაცილებით ფართოა იმ ნიშნის შინაარსზე, რომელიც საფუძველად დაედო მის ნომინაციას. ახალი სიტყვა წარმოშობისთანავე მდიდრდება შინაარსობრივად და უკავშირდება მოცემული საგნის ყველა, მეტ-ნაკლებად განმასხვავებელ ნიშანს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ახალი სიტყვების შექმნას აზრი არ ექნებოდა.

ამრიგად, ნიშნის შერჩევა სიტყვის შინაარსს არ განსაზღვრავს. ეს არის მხოლოდ ნომინაციის ტექნიკა, სიტყვის ბგერითი კომპლექსის შექმნის საშუალება. ნომინაციისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არსებითია ეს ნიშანი თუ არა, მთავარია ის, რომ მოცემულმა ნიშანმა მიმართება დაამყაროს საგანთა მთელ კლასთან. რადგან ნიშნის შერჩევა არ განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას, იგი დეტერმინირებულია არა თვით ნიშნის აბსტრაქციის უნარით,

არამედ კონკრეტული პირობებით, როგორიცაა კულტურა, ტრადიციები, გეოგრაფიული გარემო, შრომითი პროცესი და სხვ.

როგორც ღავინახეთ, სახელდება ენაში რიგ შემთხვევაში მეტად არაარსებითი ნიშნის საფუძველზე ხდება. ასეთი სახელდების საფუძველი ენაში ხშირად იკარგება.

როგორც ირკვევა, ენა ცდილობს თავიდან აიცილოს სიტყვის მნიშვნელობის მცდარი დახასიათების საშიშროება, რაც შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ საგნის სახელდება ერთი ნიშნის საფუძველზე ხდება, მაშინ როცა სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ემყარება საგნის ყველა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ნიშანს.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენებში დღესდღეობით შეუძლებელია მრავალი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა. დაკარგულია სახელდების საფუძველი და სიტყვებიც აღარ ემორჩილებიან ეტიმოლოგიზაციას.

იმ ნიშანს, რომლის საფუძველზეც ხდება სახელდება, არნ. ჩიქობავა "ფუძეში ჩაქსოვილ ცოცხალ სახეს უწოდებს". "ცოცხალი სახე ერთგვარი საფუძველია, რომელიც ცხადყოფს, რა პქონდათ მხადველობაში, როცა ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემს ამა თუ იმ სახელს არქმევდნენ. სახელდების მომენტში ეს საფუძველი აუცილებელია, შემდეგ კი იგი უკვე აღარ არის საჭირო: დამხმარე, შუამავალი ცოცხალი სახე უფერულდება, იკარგება, ცოცხალი სიტყვა უტყვ პირობით ნიშნად იქცევა". "სიტყვაში ჩამარხული ცოცხალი სახის ძიება მოითხოვს მონათესავე ენების მასალის შედარებას. აქ რთული სამეცნიერო აპარატია საჭირო მიზნის მისაღწევად. ცოცხალი სახის ძიება, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული, უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. ასეთი სახის ძიებანი იმდენადვე ძნელი და სახიფათოა, რამდენადაც მიმზიდველი და საგულისხმო. ენათმეცნიერული აზროვნების ისტორია სავსეა კურიოზული შეცდომებით, რომლებიც ამ სახეების ძიებისას იყო დაშვებული, როდესაც ძიება მკვიდრ მეთოდოლოგიურ საფუძველს იყო მოკლებული, და მდიდარია ბრწყინვალე შედეგებით, როცა ეს ძიება მეცნიერულად მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული".

სიტყვათა მეცნიერულ ეტიმოლოგიას უპირისპირდება **ხალხური ეტიმოლოგია (speculative etymology)**. ესაა სიტყვის ანალიზის გარეშე სიტყვის უშუალო გააზრებით ნაპოვნი ეტიმოლოგია.

ხმაბაძვითი / ონომატოპოეტური სიტყვები (onomatopoeic words)

მსოფლიოს მრავალ ენაში სიტყვათა გამოხატვის პლანის, ანუ ბგერითი კომპლექსის შესაქმნელად, საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ ე.წ. ხმაბაძვითი სიტყვები. ამასთანავე ხმაბაძვითი ზმნები გაცილებით ხშირია, ვიდრე არსებითი სახელები.

მაგ: ქართული – ჭიკჭიკი, ჭყვილი, ჭახჭახი, წრიპინი, ყეფა, ყივილი, ყიყინი, რაკრაკი, შრიალი, ტკაცანი, გრუხუნი, ზუზუნი, ბზუილი, ხვრინვა;

რუსული – плескать, квакать, ржать, чирикать;

ინგლისური – roar, whisper, crash, chatter, chirp, chirrup, twitter, babble, burble, gargle, scuffling, etc.

რიგ შემთხვევაში მსოფლიოს სხვადასხვა ენებში შეიმჩნევა კონვერგენცია (თუმცა ნაწილობრივი და არა აბსოლუტური) ხმაბაძვითი სიტყვების შექმნის პროცესში.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ერთი და იმავე ხმაბაძვითი სიტყვა სხვადასხვა ენაში სრულიად განსხვავებულად შეიძლება იყოს წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ ადამიანი ადვილად გამოთქვამს მისთვის ჩვეულ ბგერებს და ბგერათა კომპლექსებს, ხოლო იმ ბგერებს და ბგერათა კომპლექსებს, რაც გაუგებარია მისთვის მისი ენის ფონეტიკური სისტემიდან გამომდინარე, ადამიანი შლის მისთვის ნაცნობ, ადვილად წარმოსათქმელ ელემენტებად.

აქედან გამომდინარე, ხმაბაძვითი სიტყვები, დიდადაა განპირობებული კონკრეტული ენის ფონეტიკური თავისებურებებით. მაგ: რუსულ და ინგლისურ ენებში არ არის ბგერა **ყ**. ამიტომ, სადაც ქართველს **ყიყინი** ესმის, რუსი იტყვის **квакать**, ხოლო ინგლისელი **croak**.

გარდა ამისა, ყოველი ბუნებრივი ბგერა რთული მოვლენაა. იგი შედგება მასში შემავალი ბგერითი ელემენტების კომპლექსებისგან. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები აღიქვამენ ამ კომპლექსის სხვადასხვა მხარეებს, რაც იწვევს კიდევ განსხვავებულ მიბაძვებს. გარდა ამისა, ერთმა ერმა შეიძლება აღიქვას მოვლენის ბგერითი, ხოლო მეორემ მხედველობითი მხარე, რამაც ასევე განსხვავებული მიბაძვები შეიძლება გამოიწვიოს.

ხმაბაძვითი სიტყვების შექმნის დროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, მოქმედებს შერჩევის მომენტი, მაგრამ შერჩევა ხმაბაძვით სიტყვებში სხვაგვარი ბუნებისაა. არახმაბაძვითი სიტყვების ბგერითი კომპლექსის შექმნის დროს შერჩევა წარმოადგენს გარკვეული აზროვნებითი ანალიზის შედეგს, ხოლო ხმაბაძვითი სიტყვების ბგერითი კომპლექსის შექმნის დროს შერჩევა ნაკარნახევია აღქმით. ადამიანმა მოახდინა ფონემებად დაუშლელი ბგერითი კომპლექსების ტრანსფორმაცია ისე, როგორც ეს მან შეიგრძნო, აღიქვა. სხვა ადამიანს შეეძლო სხვანაირად აღექვა და გადმოეცა იგივე ბგერა.

არახმაბაძვით სიტყვებში ის ნიშანი, რომლის საფუძველზეც ხდება სახელდება ხშირად იკარგება, აღარ შეიგრძნობა, ხმაბაძვით სიტყვებში კი ხმაბაძვითი ელემენტი შეიგრძნობა მანამ, სანამ არსებობს თვით ეს სიტყვა.